



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბოცოსძე ბოცო

ბოცოსძე ბოცო, XIII ს. I ნახევრის ქართველი მოღვაწე, სამცხის დიდგვარიან ფეოდალთა – ბოცოსძეთა პირველი თაობის წარმომადგენელი, ბოცო ჭაველის ძე, ჩუხჩარხი (სამხ. უწყების დიდი მოხელე) თამარ მეფის დროს.

განძაზე ლაშა გიორგის ლაშქრობაში (დაახლ. 1213-14) ბ. სხვა მესხებთან ერთად წინამდროვლთა გუნდს მეთაურობდა და თავი გამოიჩინა სიმამაცით. 1226, ჭალალედინის შემოსევის დროს, რუსუდან მეფემ ბ-ს და მის უფროს ძმას მემნა ბოცოსძეს დაავალა თბილისის დაცვის ხელმძღვანელობა. ქალაქში მცხოვრებ მაჰმადიანთა შინაღალატის შედეგად მტერი ქალაქში შეიქრა. თბილ. დამცველები ბ-ს მეთაურობით ისანში გამაგრდნენ. ამის შემდეგ ბ. წყაროებში აღარ იხსენიება.

ლიტ.: იხ. სტ-თან ბოცოსძენი.

6. შოშიაშვილი